

ლიტერატურული განცემი

№19 (179) 14 - 27 ოქტომბერი 2016

გამოცდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევის

ფასი 80 თეთრი

ცსი
თემურ გაბუნია

პოეზია
პაატა ნაცვლიშვილი

პოეზია
ასალაია

პროგა
ლადო კილასონია


რეცეზია
ნონა კუპრეიშვილი

თარგმანი
მარიანო ხოსე დე ლარა

ჩანაწერები
თამარ გაბროშვილი



ინტერვიუ
თამარ ჯაფარიშვილი



| ፲፻፲፭

ტოლკეინი ჯორჯ მარტინის ბავშვობის—დროინდელი კერპი იყო. სწორედ მისი თხულებების კითხვისას გადაწყვიტა, მწერალი გამხდარიყო. მკითხველმა შეიძლება გარკვეული მსგავსებაც კი აღმოაჩინოს ამ ორი მწერლის წარმოსახვით სამყაროებს შორის, რომლებიც რაღაცით ნამდვილსაც კი ჰგავს. ტოლკეინის თხზულებებში განუსაზღვრელი ძალაუფლება ენიჭება სილმარილებისა და ბეჭდების მფლობელს, მარტინისაში კი — სამი დრაკონის დედასა და დამორჩილებელს. მთავარია, როგორ გამოიყენებს ადამიანი ძალაუფლებას, რომელიც მისთვის შესაძლო სრული დეგრადირებისა და სიგიფის მიზეზიც კი გახდეს. ძალაუფლების სიმბოლო ტოლკინთან ბეჭდებია, მარტინთან კი — დრაკონები. თუმცა ორ ხელოვანს ბევრი რამ განასხვავებს. ტოლკინთან კაცობრობის წარმმართველ ძალად საწყის ეტაპზე ეგრეთ წოდებული წარმართი ღმერთები, ანუ ვალარები გვევლინებიან („სილმარილიონი“). შემდეგ — ელფები, ხოლო ბოლოს — თეთრი საბჭო („ბეჭდების მტრანებელი“). „ყინულისა და ცეცხლის სიმღერის“ ავტორის მიერ შექმნილ სამყაროში კი ადამიანია წარმმართველი. ქვეყანას მეფეები და ლორდები განაგებენ, თუმცა საკამაოდ დიდი ადგილი აქვთ დათმობილი ქურუმებსაც, რომლებსაც სეპტონები ეწოდებათ. ისინი ლეთისმსახურებას სეპტებში აღასრულებენ. საკმეველს აკმევენ და გალობენ „ღმერთის შვიდი ხატები-სთვის“ რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაცაა „მოათინათ შვიდნახნაგა კრისტალი“. ზოგიერთი ლორდი, მაგალითად, ნედსტარკი, ძველ ღმერთებსაც ეთაყვანება „ტყებმწვანის უსახელო, უსახო ღმერთებს“. სხვა ფეოდალური გვარების წარმომადგენლებს მოძღვრებად ცეცხლის თაყვანისმცემელი წითელი ქურუმები აურჩევიათ. როგორც ვხედავთ, მწერლის თხზულებების რელიგიური ფონი ტიპური წარმართობაა. ბაბილონში შვიდი ღვთაებას სცემდნენ თაყვანს, გოდოლმი შვიდი პალატის აგბაც კი სურდათ შვიდთა მნათობთა პატივსაცემად. არსებობდა შვიდი კლასიკური პლანეტა, რომლებიც ძველსაბერძნეთსა და რომში ღმერთებად შერაცხეს. ჯორჯ მარტინის წარმოსახვით შექმნილი სამეფო ქალაქი — მეფის საბიჯელი — რაღაცით ჰგავს მითიურ ბაბილონს, რომლის ერთ-ერთ გორაკსაც „გვირგვინად ედგა ბეალორის დიდი ტაძარი, ბროლის შვიდი კოშკით.“ ხოლო „ეგანინის მაღალი ბორცვიდან ყოველივეს კუშტად გადმოსცეკროდა წითელი ციხე — რინის ლავგარდანებით დაგვირგვინებული შვიდი უზარმაზარი მრგვალი გოდოლი...“


მარტინის თხზულებებში წარმართული რელიგიის თითქმის ყველა განშტოების წარმომადგენლებს ვხვდებით: შვიდთა ვარსკვლავთა თაყვანის მცემლებს, მაზდეან მოგვებს, ხეებზე მლოცველებს, სისხლის მაგებსა თუ ქარიშხლის შემლოცველებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერია ნათევამი ერთომერთიანობის მიმღევარ მართალ ადამიანებზე, რომელთა გარეშეც სამყარო ერთი წამითაც კი ვერ იარსებისდა.

„სამეფო კარის თამაშებში“ გარკვეული
მინიჭნებაა მივიაზმზეც. ბრანდ სტარკის მხ-
არზე ჩამომჯდარ ყვავს „სამი თვალი ჰქონ-
და და ეს მესამე თვალი საზარელი ცოდ-
ნით იყო სავსე“. ინდუზმში განადგურებ-
ის ღმერთის (შივას) სამი თვალი წარსულის,
აწმყოსა და მომავალის ხედვის სიმბოლოა.
მესამე თვალის ახელის შემდეგ, შივაიტებ-
ის რწმენით, ბრძენენკაცი თანაბარად
ჭვრეტს წარსულსაც, აწმყოსაც და მო-
მავალსაც, თავისუფლად მოგზაურობს
დროსა და სივრცეში. ბრანდ სტარკსაც უჩნ-
დება სივრცეში თავისუფლად გადაადგ-
ილების სურვილი. სიზმრად ნანახი ფრინ-
გლი მას ურჩებას, იფრინოს ან მოკვდეს.

ყვავმა „გამნარებით ჩასცხო ნისკარტი და ბიჭმა თვალებს შორის, შუბლზე უცარი, დამაპრმავებელი ტკივილი იგრძნო.“ ეს ჩვეულებრივი სიზმარი არ იყო. გაღვიძებულმა „შუბლზე მოისვა ხელი, თვალებს შორის. ის ადგილი, სადაც ყვავმა ჩაუნისკარტა, ჯერაც ეწვოდა, მაგრამ შუბლზე არც სისხლი, არც ჭრილობა არ აჩნდა“. მესამე თვალის ახელის შემდეგ ბრანს მაგიური ძალა ეძლევა, ცხოველებ-

2011 წლის 12 ივნისის ინტერვიუში ჯეომზ პიბერლთან ჯორჯ მარტინმა აღნიშავა: „ყოფილი კათოლიკე ვარ და შესაძლოა ათეისტად და აგნოსტიკოსადაც კი მიმიჩინოთ. თუმცა რელიგიისა და სულიერებისადმი დიდ ინტერესს ვიჩინ... სწორედ ამით განვსხვავდები ტოლკინისგან. მის ნაწარმოებებში ვერ შევფერით ღვთისმსახურებსა და ტაძრებს. „ბეჭდების მპრანანებელში“ არავინ არავისა და არაფერს ეთაყვანება“. ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება, ყურადღება გავამახვილოთ ტოლკინსა და მარტინს შორის არსებულ მსოფლმხედველობრივ განსხვავებაზე, მით უმეტეს, რომ „ყინულისა და ცეცხლის სიმღერის“ ავტორი პიბერლთან ინტერვიუში სწორედ ამის შესახებ საუბრობდა. საინტერესოა, რომელ ღმერთებს ეთაყვანებიან ვესტეროსის შვიდი სამეფოს ბინადრები?

Digitized by srujanika@gmail.com



თემურ გაბუნია

ახალი დროის ციმბრლოვანი



სა (მგელსაზარა) და ადამიანებში (გონება
სუსტი გოლიათი ჰოდორი) შესვლისა და
მათი მართვის უნარი. მოგვიანებით ის კვ-
ლავ ხვდება სამთვალა ყვავ-კაცა
(ამჯერად უკვე ცხადში), რომელიც ჰპირდ-
ება, რომ იფრენს. როგორც ვხედავთ, ე-
შივაიტურა იწიავაზეის (ასახვის სრიბლის

„ყინულისა და ცეცხლის სიმღერის პერსონაჟებს, ძირითადად, ლორდებსა და მეფე-მთავრებს თავიანთი ტოტემური ცხოველებიც ჰყავთ, რომლებიც მათ საგვარეულო გერბებზეა გამოსახული. ბარათეონთა გერბია შავი ხარისხმი, სტარკების — რუხი მგელსაზარა, ტარგარიენების კი თავიანთ დროშაზე შავ ველზე წითლად გამოსახული სამთავა დრაკონი ალუბეჭვი დავთ. ხშირ შემთხვევაში მარტინის თხზულებების პერსონაჟები თავს ტოტემურ ცხოველებთან აიგივებენ. „ყინულისა და ცეცხლის“ საგაც სწორედ მკვდარი მგელ საზარას გამოჩენით იწყება, რომელსაც ირმის რქა აქვს ყილმი გაჩრილი. მგელსაზარა გვიპარება ის ისეთი სიციურეს, რომ გამოსახული გააზრება.

— არას ლეკებისი დაყრდნობის მოუსწრია. ამ მოვ ლენას ასე ხსნის ნედ სტარეის უკანონო ვაჟი, ჯონ სხოუ:

— აქ ხუთი ლეკვია, სამი ხვადია, ორ ძე.

— მერედა რაო, ჯონ?

— ქორწინებიდანაც ხუთი შვილ გყავს... სამი ვაჟი და ორი ასული. მგელ საზარა შენი გვარის სიმბოლოა. ეს ლეკვე ბი შენს შვილებს უნდა ჰყავდეთ, მილორძ.

ამრიგად, აქ ისევ ტიპურ წარმართობასთან გვაძეს საქმე. უსხოვარ დროს ტრი მის ბელადები და მეფე-მთავრები ტოტე მურ ცხოველებს მიიჩნევდნენ თავიან მფარველებად. ეს თემა განსაკუთრები გამძაფებულია ტარგარიენებთან მიმრთებაში. დენერის ტარგარიენისთვი დრაკონი მხოლოდ შეფარველი როდი ძალისა და მხნეობის მიმცემიცა და განწმენდელიც. დენი საკმაოდ წინააღმდეგი ბრივი პერსონაჟია. ის ათავისუფლებს მოებს, ცდილობს სამართლიანად მართო ქვეყანა, მაგრამ ამავე დროს ექცევა ყვალაზე ბელი — „სისხლის მაგიის“ გავლის ქვეშ, რომელსაც თვით დოთრაკათა ვლური ტომის ბინადრებიც ეკვითა დზიზლით უყურებდნენ. საკმაოდ სიბოლურია დენის სიზმარი. თუკი ბიძლიურ გმირებს ანგელოზების ხილვა ანიჭებდა მხნეობას ან ღვთის ხმის გაგონება, დენი მხსნელი მომღერალი დრაკონია. სასონარკვეთილს სწორედ სიზმრად ნანა დრაკონის ხახიდან გამოსული ცეცხლ ანიჭებს მხნეობას. „მან გაშლილი მკლავი ბი შეაგება ცეცხლს, მიეცა მის განმწმენდა გამომწრთობელ, განმბარველ სიმხურვალეს“. ამ ხილვის შემდეგ დენერისი შეიცვლა. „ყოველი ახალი დღე წინაზე უფრო იოლი იყო. ფეხები გაუღლონივრდა; ბებერ ბი დაუსკდა და ხელები დაუკოურდა; საიუთი ბარკლები ტყავის ღვედივით გაუსაგრდა“. ამრიგად, დენის ტარგარიენ შემთხვევაში დრაკონი მხოლოდ ტოტე

არაა, ის მხსნელი ღვთაებაცაა. ბუნებრივია, ისმის კითხვა, როდის აქეთ გახდნენ ურჩხულები ადამიანთა შემწები?

||

დღაკოზი და გველებავი ბოროტების
სიმბოლოდ იყო მიჩნეული წარმართულ
მითებსა და ლეგენდებში. ურჩეულთა მკუ-
ლელები არიან გილგამეში, ზიგფრიდი, ამირანი,
თეთრი გიორგი, კოპალა... მფრი-
ნავი გველი ქრისტიანობაშიც ბოროტების
სიმბოლოდ დამკუდრდა, რაც იკონოგრა-
ფიაშიც აისახა. თეთრ ცხენზე ამხედრებუ-
ლი წმინდა გიორგი სწორედ მფრინავ გვ-
ელს, ანუ დრაკონს ებრძვის. წმინდა გიორ-
გის ორდენებითა და ჯვრებით აჯილ-
დოვებდნენ ევროპელი მონარქები გამოჩე-
ნილი მამაცობსთვის თავიანთ რჩეულ მე-
ბრძოლებსა და ოფიცრებს, თუმცა მსოფლ-
იონ რევოლუციების შემდეგ ჯვარი ვარ-
სკელავმა ჩაანაცვლა. რისი სიმბოლო
ვარსკვლავი? ვარსკვლავს სხვადასხვა სიმ-
ბოლური დატვირთვა ენიჭება იმისდა
მიხედვით, თუ რამდენქმიმანია და საითაა
მისი ქიმები მიმართული. დავითის ვარსკვ-
ლავი ორი სამკუთხედის კვეთაა — წვერი-
თი ზევითმიმართულისა და ქვემოთმიმა-
რთულის. პირველი ქრისტიანული სამების
სიმბოლოა (მერცედ მოსკვლის შემდეგ წმინ-
და სამებამ მართალთა სულები ზეციურ
იერუსალიმში, ანუ სამოთხეში უნდა შეიყ-
ვანოს), ხოლო მეორე სამკუთხედი — ან-
ტიქტოსტიანული ტრიადის (ანტიქტისტე,
ცრუ წინასწარმეტყველი, ლუციფერი). ამ
ტრიადას ცოდვილთა სულები ჯოჯოხეთ-
ში ჩაჰყავს. ორი სამკუთხედის კვეთა უკა-
ნას ენერგუამზე მიგვანიშებს, სიკეთისა და
ბოროტების დაპირისპირებაზე, როცა სა-
ტანა საბოლოოდ უნდა დამარცხდეს.

უკანასკნელი ქამის კიდევ ერთი ნიშანი ზეციური ცეცხლის ქვეყნიერებაზე ჩამოტანაა. როგორც ითანხმოს გამოცხადება გვამცნობს, ზეცამი მოხდება ბრძოლა მთავარანგელოზებსა და გველს მორის, რის შემდეგაც გველებაპი ჩამოგდებული იქნება მიწაზე. მსგავსი რამაა აღნერილი ერთ შივაიტურ ლეგენდაში, ოლონდაც იმ განსხვავებით, რომ გველებაპის როლს იქ ვარსკვლავი ასრულებს. იგი მზეს ცეცხლს სტაცებს, რათა ადამიანთა უკეთური მოდგრა შემუსროს. განრისსხებული მნათობი ვარსკვლავს ცის თაღზე ამოსვლას უკრძალავს. ამიერიდან დასჯილი ვარსკვლავი კლდის ქიმიდან დასცექერის ქვეყნიერებას.

ცისკრის ვარსკვლავი ლუციფერთანაა
გაიგივებული ანტიკურ მითოლოგიასა და
პოეზიაშიც. ბერძნები ლუციფერს დილით
გამოჩენილ ვენერას უწოდებდნენ, საღა-
მოს ცაზე ამოსულ ვარსკვლავს კი — ჰეს-
პეროსს. თავდაპირველად ისინი ლუცი-
ფერსა და ჰესპეროსს ორ სხვადასხვა პლან-
ეტად მიიჩნევდნენ, მაგრამ მოგვიანებით
გაიზიარეს ბაბილონელთა მოსაზრება,
რომ ლუციფერიცა და ჰესპეროსიც ერთი
ვარსკვლავი აფროდიტე იყო (რომაული
ვენერა).

ძველი ინგლისურ რელიგიურ წიგნებში, მათ შორის მეცე ჯეიმსის ბიბლიაშიც, ცისკრის ვარსკვლავი გაიგვიყებულია სატანასთან. ცისკრის ვარსკვლავი იოანეს გამოცხადებაშიცა ნახსენები. უფალი თავის ერთგულთ პირიდება „ძალაუფლებას წარმართებზე მბრძანებლობისას“ და „რკინის კვერთხს“, რომლითაც ცოდვილებს დამწყემსავს (2, 26-28). შემდეგ კი ნათქვამია: „და დამწყემსავს მას რკინის კვერთხით; როგორც ჭურჭელი თიხისანი დამსხვერევიან... და მივცემ მას ცისკრის ვარსკვლავს“. ვისაც წმინდა მამების კომენტარები არ აქვს წაკითხული, შეიძლება მოერეონოს, რომ აქ რაღაც ჯილდოზეა საუბარი, რომელიც ცოდვების დამთო-გუნდელ ადამიანს უნდა მიეცეს. თუმცა ეს ასე არაა. გამარჯვებულს (ცისკრის ვარსკვლავის, „ჩიუქებით“) კი არ აჯილდოვებენ, არამედ მას აძლევენ ძალას სატანის (ცისკრის ვარსკვლავის) დასათრგუნად. „ვარსკულავად განთიადისა ეშმაკა იტყვს, რომლისთვის თქუა ესაია, ვითარებდე: როგორ გადმოვარდა შთიები იგი განთიადისაი, რამეთუ ეშმაკა იტყოდა და აქაცა წმიდათა ეტყვს, ვითარებდ მისცეს მათ ეშმაკი ქუეშე ფერთა მათთა შესამუშარად“, ვკითხულობთ წმინდა ანდრია კესა-

ლიტერატურული გაზეთი

დენიმ, — ნამდვილი დრაკონი. მე ეს ვიცი. ვიცი, — გაიღიმა და სახლზე ოცნებით ჩაეძინა.”

დრაკონების ხოტბით თავდება „ყინულისა და ცეცხლის სიმღერის“ პირველი წიგნი, ხოლო მეორე — ურჩხულების დაბადებით.

IV

ჩაგდების შესახებ. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ცისკრის ვარსკვლავი ცალსახად მხოლოდ სატანასთან არ უნდა ასოცირდებოდეს, რადგან იოანეს გამოცხადებაში მაცხოვარი ბრძანებს: „მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი. **ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისაი**“ (22, 16). სიტყვა ბრწყინვალეს დამატება ძირულად ცვლის ცისკრის ვარსკვლავის სიბოლოებას. მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე „ნათელთან“ დაკავშირებითაც. ნათლის ანგელოზი იყო ლუციფერი. „ნათელი ჭეშმარიტი“ კი ქრისტეა. რატომა დამატებული „ჭეშმარიტი?“ იმიტომ რომ არსებობდა მორცენებითი ნათელიც ლუციფერის სახით. იგივე შეიძლება ითქვას იოანეს გამოცხადების (2, 28) და (22, 16) მუხლების შედარებისას. პირველ შემთხვევაში „ვარსკვლავი განთიადისაი“ ლუციფერის გამოხატულება, მეორეში კი — ქრისტესი. განთიადის **ბრწყინვალე ვარსკვლავში** (22, 16) მაცხოვარი იგულისხმება, მისი ბრწყინვალე აღდგომა, რომელმაც ადამიანები სუჟუნო წყვდიადიდან გამოიყვანა (იხ. ანდრია კესარიელი). მიუხედავად შმინდა მამების განმარტებისა, ბიძლიის თანამედროვე კომენტატორები ცდილობენ დაამკიურონ აზრი, რომ ცისკრის ვარსკვლავის შემთხვევაში ვთომოდაც საქმე გვაქვს ერთმნიშვნელოვან სიმბოლოსთან. მათი აზრით, იოანეს გამოცხადების (2, 28)-ში ნახსენებ განთიადის ვარსკვლავშიც მაცხოვარი იგულისხმება. მეტიც, კათოლიკურ თეოლოგიაში არსებობს მოსაზრება, რომ ლუციფერი სატანასთან არც უნდა გავაიგივოთ, რადგან ნათლის ანგელოზს სახელი მხოლოდ დაცემამდე ერქვა.

და ას, მსგავსი თეოლოგების მეცადინეობით დაცემულ ანგელოზად მიჩნეული ცისკრის ვარსკვლავი მსოფლიო რევოლუციების შემდეგ მოულოდნელად ცალსახად სიკეთისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლოდ მოგვევლინა...

III

ულის — სკილასა და ქარიბდას შორის გას-
ვლისას; სრული ინიციაციის მოსურნეს
უნდა დაეძლია „კალიფსოს ცდუნებაც“
(უკვდავად ქცევის სურვილი); თავი შორს
დაეჭირა ლოტოფაგებისგან (მემთვრალე-
თა და ნარკოტიკული საშუალებების მო-
მხარებელთაგან); უარი ეთქვა ამქვეყნი-
ურ სიამებსა (სირინოზები) და ამპარ-
ტავნული სურვილების დაკმაყოფილებაზე
(ნავზიკეას ქმრობა). ოდისევსმა ყველა ეს
დაბრკოლება გაიარა და სამშობლოში დაბ-
რუნდა, რაც ახტიკურ მისტერიათა „ღმერ-
თამდე“ მისვლასაც ნიშნავდა.

რა მოვლენები ვითარდება „ულისეში“, რომელიც პომეროსის „ოდისეას“ ერთგვარ თანამედროვე პროექტიას წარმოადგენს? ანტიკური სამყაროს გმირებისან განსხვავებით, „ულისეს“ პერსონაჟები ანტიონი-ციაციის პროცესს გადაიან. ისინი ურჩხულებს კი არ ამარცხებენ, პირიქით თავისი ხელით კვებავენ. მოღონიერებულ მრავლასახა პროთევსს უკონტროლო, სტიქიური აზროვნების სახე მიუღია და შთანთქმით ემუქრება ჯოისის ვირტუალურ ლაბირინთში მოხეტიალებს.

საგულისხმოა, რომ პირველად სწორედ „პროთევსის“ ეპიზოდში ვლინდება სრული სახით ჯონისის ექსპერიმენტული თხრობის სტილიც, რომელსაც მკვლევრები მოგვა- ანებით, „ცნობიერების ნაკადს“ უწოდებენ.


ცადიღა, ასეულის სედლოსი ძეროვ თბ-არეც, ვერცერთ მწერალს ვერ დაავალდე-ბულებ, გმირების შესახებ წეროს. ჯონის სამყაროს ისეთად გვიხატავდა, როგორა-დაც ხედავდა. მისი უმთავრესი იარაღი პაროდია იყო. ოდისევსის (ლეოპოლდ ბლუმისა) და ტელემაქეს (სტივენ დედალ-ოსის) შეხვედრა შეუძლამისას ლია ცის ქვეშ ერთობლივი მოშარდვით სრულდება და არა რაღაც პათეტიკური დიალოგით. ჯონისის პერსონაჟები ჰომეროსის გმირები-ის სრული ანტიპოდები არიან. პატიოს-ნებით ცნობილი პენელოპე მსუბუქი ყო-

ფაქტევის მოლი ბლუმად ქცეულა, სახელ-განთქმული ოდისევსი კი — ყველასგან დამცირებულ და არარაობად მიჩნეულ ლეოპოლდად. ჯონის დაშლილი ცნობიერების ეპოქის მწერალია, ის პატიარა ადამიანების შესახებ წერს, ყოფილი და ინტელექტუალური პრობლემების გამო თავში უკონტროლო აზრები რომ უტრირალებთ და საკმაოდ მაღალმხატვრულადაც. უბრალოდ მყვლევრებმა გადაჭარბებული პატივი მიაგეს ცნობიერების ნაკადს და მისგან რაღაც კერძი შექმნეს. სინამდვილეში კი სტიქიური აზროვნება, ანუ ეგრეთ წოდებული ცნობიერების ნაკადი ყოველთვის არსებობდა და მას ანტიკური ხანის ქურუმებიც ებრძოდნენ და ქრისტიანი მღვდლებიც. ქაოტურ, იმპულსურ აზრებს (ხანდახან ბილნსაც) ქრისტიანები აღსარებითა და ზიარებით კურნავდნენ, ნარმართულ მისტერიებში განდობილები კი — „პროთევსის შებოჭვით“ ან „ასთავი-ანი ჰიდრის“ მოკვლით.

ტოლკინს, რომელთა თხზულებებშიც ჩანდგილი ცეცხლისმფრქვეველი დღაკონები გხვდება და არა ვირტუალური. ტოლკინი თავის ვრცელ ესეში „ზეოვნულფიც ურჩხულები და კრიტიკოსები“, აღნიშნავს, რომ ნარმართი ღმერთები არ არიან ადამიანთა მოკავშირები ურჩხულებთან ბრძოლაში. თავისი თვალსაზრისის განსამტკიცებლად მწერალი იხსენებს პოლიფერეს ეპიზოდს პომეროსის „ოდისეადან“. ოდისევ-სი შიშობს, რომ ციკლოპის დაბრმავების გამო შეიძლება პოსეიდონმა დასაჯოს, რადგან სხვა ციკლოპთა მსგავსად პოლიფერეც ზღვათა მეუფის ვაჟია. ანგლო-საქსური ადრექრისტიანული ხანის პოემა „ბეოვულფის“ ურჩხული გრენდელი კი სამყაროში არსებული ბოროტების განსხვეულებაა. მისა მოკვლით ბეოვულფი ლვთისთვის სასურველ საქმეს ჩადის. მას ოდისევსიით სინდისი კი არ ქენჯის, პირიქით ამაყობს, კაციჭმას რომ დაამარცხა... აი, რა დიდი სხვაობაა ოდისევსა და ბეოვულფის შორის, არადა, ორივე ურჩხულთან მებრძოლია.

ტოლკინი თავის ესეში საგანგებოდ
ამახვილებს ყურადღებას წარმართულ
ფონზეც, კერძოდ დანიის სამეფო კარის
დიდებულებზე, რომლებიც ბეჭელ ძალებს
თხოვენ ხსნას. (იხილეთ „ბეოვულფი“ —
175-88). ხოლო რაც შეეხება მარტინს, მისი
თხზულებების სამყარო ცალსახად წარ-
მართულია. მეტიც, იქმნება მთაპეჭდილე-
ბა, რომ ის სწორედ „ბეოვულფის“ აღიიშ-
ნული ეპიზოდიდანაა ამოზრდილი. მნერ-
ლის პერსონაჟები, დანიელი დიდე-
ბულებივით, ქვის ძველ ღვთაებებს
სწირავენ მსხვერპლს, კერპებისა და ჯო-
ჯოხეთის დახმარებას იმედოვნებენ. შემ-
ნეობას ხან ურჩეულებს თხოვენ, ხან მწინ-
ბავებს და ისინიც ხშირად „მხსნელებად“
ევლინებიან.

ამრიგად, „ცეცხლისა და ყინულის სიმღერის“ საგაში დაწყებულია უცნაური პროცესი, რომელიც დრაკონთა გაკეთილ-შობილებასა და განღმრთობას ისახავს მიზნად, რაც მითოსურ ტრადიციასაც ეწინააღმდეგება, ფოლკლორულ-ლიტერატურულსაც და ქრისტიანულსაც. სამწუხაოდ, ჯორჯ მარტინის მწერლური ოსტატობისა და მისი თხზულებების მაგიური სიბლის გამო დრაკონებს, ისევე როგორც მათ დედას დანეროსს ბეჭრი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა, რასაც ადასტურებს ის უცნაური ფაქტი, რომ აღნიშნული საგინა და მის მოტივებზე გადაღებული სერიალის, „სატახტო კარის თამაშების“, გამოჩენის შემდეგ დასავლეთში მრავალმა ათასობმა ადამიანმა დაარქვა თავის ქალიშვილს ხალესი. ხალესი წოდებაა, ხალის (მბრძანებლის) ცოლს ინშნავს. ასე რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ აქამდე არასებული სახელის — ხალესის, არამედ ახალი ლვთაებისა თუ სიმბოლოს (დრაკონების დედის) დაბადებასთან, რაც შემაშფუოთებულია, რადგან ეს მარტინის ფანებს რაღაც ახალი ლვთაებისა თუ კერძო თავაწების გამო უმდიდესობა.



პაატა ნაცვლიშვილი

ძველი და ახალი პაიზები (სულ 64)

ძველი კარძნული გატრიკა ეართულად

პეონი
 ნათურა და / პროფექტორი, / ფარანი და / ლამპიონი, /
 სანული და / ჰალოგენი, / ის ვოლფრამი, / ეს ნეონი, /
 სამება და / სიონი და / ტრაპეზი და / ამბიონი,
 პირველი და / მესამე და / მეოთხე და / ეს პეონი... /

ქორქ
 ქერის / ორმო, / ფეხის / ქირა, / ქერა / ქალი / გადათ / ქერე, /
 ქორე / ქურა, / ქორე / ქორო, / ქორე / ქარი, / ქორე / ქორი, /
 ქორე / ხურდა, / ხურდა / ჰექონდა, / ჰექონდა / ქროდა, / ქროდა / ქარი, /
 ქორე, / ქურა, / ქარი, / ქერი, / ქირა, / ქორი, / ქორო, / ქორე... /

დაქტილი
 საიდან / მოფრინდა, / საიდან / შეგზავნეს, /
 საიდან / დაჯდა / ეს პტერო / დაქტილი /
 რუსთველის / შაირს და / ჰომერის / ჰეგზამეტრს... /
 დაქტილი, / დაქტილი, / დაქტილი, / დაქტილი... /

მინაწერი
 ორი / ქორე / დაქტილით, / კიდევ / ორი / დაქტილით / და პეონი / დაქტილით: /
 თუმცა „შენ ხარ / ვენახი“ / სწორედ / იამ / ბიკოა, / ჩვენ არა გვაქვს / იამბი, /
 ამი / ტომაც / დავკვექი, / ვერლიბ / რებით / დალლილი, / აივანზე / ამ დილით /
 და ნელ / ბის ნინ / ნასნავლი / ანტი / კური / მეტრიკა / უიამბოდ / გიამბე. /

დამა ართვინი ნინისთან ერთად

გარჭობია ღამეს გულში მთვარის იატაგანი,
 შენ ხარ ვარდი ვარდთაგანი, ია იათაგანი.

არა მხოლოდ ცოლი, –
 შენ ხარ ჩემი ცალი!

პაიზი-1*

ა!
 ია!
 ღია!
 ალია!
 მალია!
 ამალია!
 წამალია!
 ა წამალია!
 რა წამალია!
 ო რა წამალია!
 ხო რა წამალია!
 ოხო რა წამალია!
 ხოხო რა წამალია!
 ხოხოხო რა წამალია!
 ოხოხოხო რა წამალია!
 ხოხოხოხო რა წამალია!
 ოხოხოხოხო რა წამალია!

პაიზი-2

და მე ახლა ნელა გავქრები
 ა მე ახლა ნელა გავქრები
 მე ახლა ნელა გავქრები
 ე ახლა ნელა გავქრები
 ახლა ნელა გავქრები
 ხლა ნელა გავქრები
 ლა ნელა გავქრები
 ა ნელა გავქრები
 ნელა გავქრები
 ელა გავქრები
 ლა გავქრები
 ა გავქრები
 გავქრები
 ავქრები
 ვქრები
 ქრები
 რები
 ები
 ბი
 ი

* ეს ორი „კაიფი“ წინა საუკუნეში ვერსად დავბეჭდე, თუმცა მათ მაშინ სათაურის ნაცვლად სამწერტილები ერქვათ. მას შემდეგ ისინი ალარც გამსენებია. დღემდე.

შე დაუკავშირო

მანდარინი, ფეიხოა, ლიმონი, ტუნგო, – სუბტრიპიული მცენარეული კულტურები.
 2 გუამი, სამია, ტაიტი, ტინგა — ტროპიკული კუნძულები.
 3 ნიფხვი, ტრუსკა, ბიკონი, ტინგა — ქლის ქვედა საცელები; ბიკონი ტროპიკული კუნძულიც არის.
 4 კადრილი, ანკანი, ლეკური, ტანგო — ცეკვათა ნაინსაზობანი.
 5 დოლორი, მაბათა, ტურია, ტენგე — აშტ, აზერაიიჯანის, მონგოლეთისა და ყაზახეთის ფულის ერთეული.
 6 (ლე) კორბუზიე, (სანტიაგო) კალატრავა, (ფრენკ ლოიდ) რაიტი, (კენდი) ტანგე — საქვეყნოდ ცონბილი ფრანგი, ესპანები, ამერიკელი და იაპონელი არქიტორები.
 7 (ჯონ) ლენონი, (ჯომ) ჰენდრიქსი, (ფრედი) მერკური, სტინგი — საქვეყნოდ ცონბილი ბრიტანელი, ბრიტანელი, ამერიკელი და მერიკელი მუსიკები.
 8 ტამრიკო, ტემური, ტინკო, ტენგო — გარუსებულ-გაევროპელებულ-გამერიკელებული ქართველი გოგო-ბიჭები.



დოლარი და მანათი და ტურგიკი და ტენგე,⁵
 კორბუზიე, კალატრავა, რაიტი და ტანგე;⁶
 ლენონი და ჰენდრიქსი და მერკური და სტინგი,⁷
 ტამრიკო და ტემური და ტინკო და ტენგო!⁸

1 მანდარინი, ფეიხოა, ლიმონი, ტუნგო — სუბტრიპიული მცენარეული კულტურები.

2 გუამი, სამია, ტაიტი, ტინგა — ტროპიკული კუნძულები.

3 ნიფხვი, ტრუსკა, ბიკონი, ტინგა — ქლის ქვედა საცელები; ბიკონი ტროპიკული კუნძულიც არის.

4 კადრილი, ანკანი, ლეკური, ტანგო — ცეკვათა ნაინსაზობანი.

5 დოლორი, მაბათა, ტურია, ტენგე — აშტ, აზერაიიჯანის, მონგოლეთისა და ყაზახეთის ფულის ერთეული.

6 (ლე) კორბუზიე, (სანტიაგო) კალატრავა, (ფრენკ ლოიდ) რაიტი, (კენდი) ტანგე — საქვეყნოდ ცონბილი ფრანგი, ესპანები, ამერიკელი და იაპონელი არქიტორები.

7 (ჯონ) ლენონი, (ჯომ) ჰენდრიქსი, (ფრედი) მერკური, სტინგი — საქვეყნოდ ცონბილი ბრიტანელი, ბრიტანელი, ამერიკელი და მერიკელი მუსიკები.

8 ტამრიკო, ტემური, ტინკო, ტენგო — გარუსებულ-გაევროპელებულ-გამერიკელებული ქართველი გოგო-ბიჭები.

საორთოება

თუმც სხვადასხვა წონაში
 სხვადასხვა დროს ვჭიდაობთ,
 სად შენა და სად მე...
 ისე როგორ მოვავდები,
 რაც არ უნდა ირბინო,
 რომ არ შევხდეთ სადმე!

სოცეაჯავა

წინააღმდეგი ვარ გართულების!
 კიდევ — ლაპარაკში გართულების!

უგემოვნო მაჯამა

ამ სრუტეში გასავლელად შენც გჭირდება, გემო, ენება,
 გემოვნების არქონაა დღეს ნამდვილი გემოვნება!

თეატრალური მაჯამა

გახსოვს ის დრო, სოჭის ვაგონს ადლერისა როს ება?!
 მარჯანიშვილს ჰერემიერა დაუნიშნავს: როსება!

1 ზუსტად აღარ მახსოვს, ლალი როსებას რომელი პიესა იგულისხმება. აღაბათ „სახლის ანგელოზები“. ან სულაც „პრემიერა“. რეჟისორი კი მედეა კუჭუბელი იყო. უშუქო 90-იანი წლები იდგა.

2 სანამ ჯიმი ლივინგსატონის, ხელს ვერ ახლებს სამოსა ხლოს, გაექცევა სამას რუსს და მიუჯდება სამ ოსს ახლოს,

ლმერთმა არ ქნას, რომ ვაგლახად ხელი ქრისტეს სამოსს ახლოს, და თუ ახლებს, ვაი მაშინ მის სახლ-კარს და სამოსახლოს!

1 არა, რიჩარდ ბაბის თოლია ჯონათან ლივინგსატონი აქ არაფერ შეაშია! ჯიმი ლივინგსატონი იმუნური სისტემის გარეშე დაიბადა, გამჭვირვალე პლასტიკის ბოთლში ზის და შეუცვლებელი თავისი მეზობელი ხლო (Bubble Boy). ხოლო სამოსა ნიკარაგუელი დიქტატორი იყო. აი, ეს კი შუაშია! ნიკარაგუელის გარეშე.

ორხეილები

რამ მოგიყვანათ ამ სიმაღლეზე!

აქ ამოსვლა თქვენ კი არა,

დეკას კი არა,

ბალახს კი არა,

ორზიდიან „ნივასაც“ უჭირს :)

* კარგად ვიცი, როგორც ინერგება ამ მცენარის სახლის ქართულად, მაგრამ ამ ერთი ველური „b“-თი მე ალპური ჯუჯა ორქიდები (ლათ. Chamorchis alpina) ამავე სახელწოდების მქონე ოთახის ტროპიკული ყვავილებისგან (ლათ. Orchis) მინდა განვასხვავ.

მიზანი

— იქნებ მიდის. ალბათ მიდის. მგონი მიდის.
— მოდის!
— მართლა მოდის. დიახ, მოდის. ნაღდად მოდის.
— მიდის!

რამ დამავიწყა ნეტა სკლეროზი?!

ზღვის კაიზი

ოთხ წელს ვიყავ გემზე,
ტანზე რისკი მეცვა...

მერე მეცა მე მზე,
მერე წვიმაც მეცა!

მერე მეცა თემზა,
მერე მეცა მე ცა!

არ მჭირდება, არა, ცირა,
მტკიცი რაა, ფიცი რა!
ან რა არის ქიცმაცური,
ან რა არის ქიცი? რა?!

ყველაფერი რომ ვიცოდი,
ახლა არა ვიცი რა!

დაცისის აპოლოგია
კულტ-უროლოგიური :)

ცარიელი სიცრცის აპოლოგია

არა ჩვეულებრივი,
არამედ არაჩვეულებრივი.

ავარიაული ლიტერატურის შავი მუქი

ნიგნისოვის „ნიგნები“

იმის შავი ყორანო,
ამის თეთრო ვეშაპო,
ვაშა, ჰერმან მელვილო!
ვაშა, ედგარ! ვაშა, პო!

სარაინდო

ნიგნისოვის „ნიგნები“

არ გიყვააართ, ხალხო, ვალტერ სკოტი?
აი, (ჩ)ვენ — პო!

საროსტომჩენილები

ნიგნისოვის „ნიგნები“

როს
„— ტომ!
პასუხი არ არის.“
ნიგნის გვილებდა სამყაროს,

როს
ტომ
სოიერს ჰეკ ფინი
აჭიმინებდა სამ ყირას,

როს
ტომ
ჯონსივით ვახლიდით
თავებს ამ ლობეს, იმ ყორეს,

როს
„— ტომ!
თავისი სონედლით
ბალას მოჰვავდა სამყურას,

როსტომ,
ის ჩვენი მამები
იყვნენ სიმბოლო სიმყარის!

კვიცის კაიზი-მაჯახა

ვისით იამაყებდი? ვისით? ვისით? ვისით?

ვინ რისი მაქნისია, ვიცით, ვიცით, ვიცით...
იამაყე დედის წინ მორბენალი კვიცით!

გაგგარი ლადოს საკაიზო კასუები

გუშინ ვეითხე, —
აურზაურს აიცილებ, ლადო?
მაგგგარია!
არც დაფიქრდა, —
აუცილებლადო!

გირშალური კაიზი

შუქი გავალიავე,
ჩრდილი გავაძუქე,
ყველა შენი სიავე
გავა(ფეის)ბუქე.

სულ გირველი კაიზი

კაი ფია
კაიფია!

კაიზი-3

ზოგი არის კაიფში,
ზოგი არის სკაიპში,

ერთი კაი გოგოს ელის,
სხვა დაეძებს კაი ბიჭს.

ვიღაც კაი ტიპშას უხმობს,
ვიღაც ნატრობს კაი ტიპს!

ვინ ვის ხედება სკაიპში,
რას გაიგებ კაიფში!

ჯინის კაიზი

ჯინს აცვა ჯინსები
სხვა ჯინების ჯინაზე,
ეკრანს მისჩერებია —
აფრენს თურმე ჯინაზე!!

¹ ალბათ იგულისხმება ჯინალოლობრივიდა.

გავაშვრი ლოვა

მე შენ უნდა გაგებუტო,
რად ნამართვი ბატი-ბუტი?

კაიზი-4

როგორც დასრულდება „ზაბრისკე პოინტი“¹ რო,
ვინდლო მიახედო ზებრისკენ პოინტერი...

¹ „ზაბრისკე პოინტი“ მიქელაზელო ანტონიონის საკულტო ფილმია.
შეისახოვთ 1971 წელის ნინათ, 1971 წელს ვნახე თბილისის სპორტის სასახლეში
და ეს მრჩობლებიც ფილმის ყურებისას შემომეწერა.

ვებზელი ხომალდი

მორჩა!
წვეთსაც აღარ დავლევ!
მეყო, რაც რომ დღემდე მისვამს...
თორემ
მიქელ-გაბრიელი
იმ ცელს ყელში გამომისვამს :((

თატურმორტი ანუ სოცლური კაიზი-1

დედას პური,
გუდის ყველი,
მწვანე ხახვი,
პამიდორი, კიტრი...
რა თქმა უნდა,
ღვინოც (ძველი),
ბევრი არა, —
ორიოდე ლიტრი.

თარეული სცენა ანუ სოცლური კაიზი-2

ახლა შენი წამალი არის მხოლოდ წალამი,
უფრო სწორად — წალამზე მოშმებინე მწეადი,
(მეზობელი სოფლიდან მოსულ ბიჭებს სალამი!)
აემ სურას ყელში წვდი, დავლიოთ და წადი!

სამი მარინა და სხვანი

ამირან და მარინა.
ა, მირანდა, მარინა!
ამირ ანდა მარინა.
ამირანდამ — არინა!

ზევდონივები გეორგარი შურალისათვის

ფრიდონდო ჩია.
ფრი დონ დოჩია.
ფრიდ ონდოჩია.
ფრიდო ნ'დოჩ ია.

სალომა — (სა)ლომა

გინდა მიიღე ფაქტად, გინდა მიიღე ვერსიად:
უკვე იმდენჯერ წავედი, მე ველარ წავალ ვერსად!

ავაგენარდისული ლოთოგრაფი
ანუ როგორ იცირება სიტვა „ავაგენურისტი“

მენინავე ტურისტი არის ავანტურისტი.
მონინავე იურისტი არის ავანტიურისტი.



სამსალი

თავბოლორითმიანი

სამსახოვან იანუსთან რას გახდება დალალი!
სამს ახლოდან ვეხდავ ალვას, ცაბ ღრუბელი დალილა,
სამსახობო ხელობას აქებს რუჟე დე ლილა,
სამსახურში მიღიოდნენ სამსონი და დალილა.

კაიზი-5

ერთ წამალს ისვამდა,
მეორეს სვამდა!!!

ერთი წამალს ისვამდა,
მეორე სვამდა!!!

კაიზი-6

გვიყვარულდეს ღმერთმანეთი!

ლოგა-4

იქით — სოვდაგარული.
აქეთ — სევდაგარული.

კაიზი-8

უნდა დავიზებირო ამ სალამოს მრნამსი,
ვერ ვასხვავებ ლისტისგან, ისე მიყვარს ბრამსი,
არცოროს დალაგებული ამერია რამსი,
რამ სისქეა, რამ სისქეა, რამ სი...

ჰელეკაიზი

სულ არ ალელვებს ამ ბებოს
სიძველე ახალ ამბების.

ლოგა-13

რას სისინებს ასასინი,
მჭირდებაო ასი სინი,
რომ ზედ ასი თავი დავდო,
მოჭრილ-გასისინებული!

გვაცის გასაპირობა

საბას დედას სახელად უნდა ერქვას საბინა,
საბას შემოუეცოს უნდა ღამით საბანი.
ეს ბლოკნოტი ნეტავი მალე გამაგებინა,
ბევრი მყავდეს მკითხველად ნეტავ სულხან-საბანი!

რომში, საოცენებოში, ნეტავ გვალირსა ბინა,
აიაზმაც გვალირსა ნეტავ პირდასაბანი,
„ნივეას“ და „სეიფარდს“ ეტოლება „საბონი“²,
სამივეს მირჩევინა პრინც მაჩაბლის³ „აპანი“⁴.

პარიზო და მადრიდო, ბონო და ლისაბონო,
არაბულ ცხენს მოელის რომში ვირის აპანო...
როგორ მშედიდად ილვიძებს პლეხანვის უბანი, —
მაუსება უვანი უნდა კატას აპანო!

ხმები საკრიმანჭულე, საპირველე, საბანე⁵,
ნეტავ ამ სიჩუმეში ისრად ჩამასობინა,
საბობმარლო, საპრინცო, სასტინგო და საბონო⁶,
„რაე“ ვერ ვთქვი, საპრინა⁷ უცებ გახდა საბინა.

ტაიმს-ნიუ-რომინი, არიალი, საბონი⁸...

„ბრასელს აირლაინსად“⁹ გადაკეთდა „საბენა“¹⁰,
ავფრანგულდი: „უეპუზებ“¹¹, „სელავი“¹² და „სებონ“¹³-ი...
გვანცას უნდა დავარქვა მე დღეიდან საბინა!

¹ იგულისხმება, რა თქმა უნდა, სულხან-საბა ორბელიანი
² „ნივეა“, „სეიფარდ“ და „საბონი“ — გერმანიის, ამერიკისა და ისრაელის ბრენდების სახელმა.

³ „პრინცი მაჩაბლის“ — ამერიკული პარფიუმერული ფირმა, რომელიც 1926 წელს დაამრასა გორგი მაჩაბლები (1885-1935).

⁴ „აპანი“ — „პრინც მაჩაბლის“ საპრინცო.

⁵ პირველი ხანი, ბანი და კრისტალული, როგორც ხედავთ, არის;

სისრულისთვის მოგრე ხედა მიღებელმა უნდა მოგამშევლოს.

⁶ ბობ მარლი, პრინცი, სტინგი და ბონი — პოპულარული მომღერლები.

⁷ საბინა — ესც პაპულარული მომღერლები, იღონდ ქალი.

⁸ ტაიმს-ნიუ-რომინი, არიალი, საბონი — ლათინური შრიფტის გარნიტურები (ფონტიბი).

⁹ „ბრასელს აირლაინს“ — ბელგიური ავიაკომპანია (ყოფილი „საბენა“).

¹⁰ „საბენა“ — 1923 წელს დაასწეული ბელგიური ავიაკომპანია (დღეს — „ბრასელს აირლაინს“).

¹¹ „უეპუზებ“ je vous aim (ფრანგ.) — მიყვარხა.

¹² სელავი — se la vie (ფრანგ.) — ეს ცხოვრებაა.

¹³ სებონ — se bon (ფრანგ.) — კარგია.

ჯანი სამეგრელოში

ეკატერინე ჭავჭავაძეს

როცა პაიკი მოგძახის — „გარდე!“,
უნდა სასწრაფოდ დასტოვო გორდი

პაატა ნაცვლიშვილი

და თან იახლო სამასი გორდა,
გვარდიის სამას ცხენოსნის გარდა.

კაიზი-9 გესაკრებთა გადანაცვლება-9

უფ! კოკაინი!
ნუ! კოკაიფი!

კაიზი-10

რაი უნო
რაი დუე
რაი ტრე და
რაი-რაი...
ბულვარული გაზეთია, უნდა გითხრათ, „რაო-რაო“
სხვა სანატრელ ქალაქებში შენ არ აურიო რიო!
სულ სხვა არის ბრაზილიურ ფესტივალის რია-რია!

კაიზი-12 გესაკრებთა გადანაცვლება-12

რა? გეკაფიები?
არა! გეკაიფები!

კაიზი ლომაის შემდეგ

შევაყარე ოთხ კედელს ოთხი ტონა ცერცვი,
ვერც დავწერე, ვერც ვხატე, ვერც ვიმღერე, ვერც ვი...
ცეკვე, და ვერც ვერვის ვერ ვანამე ვერა...
ფერი ფერს და მადლი ღმერთს, — სხვისი მესმის მღერა!

კენკროვანი სიყვარული

ეგ შენი ძუძუ მარწვია
და ეგ თვალები — მაყვალი...
მარწვევები მომარწვევინე
და ეგ მაყვალი მაყვარე!

კაიზი-14

წყაროს პირას მოწყენილი, ცარიელი კოკა იდო,
ყველამ კარგად დაინახა, როგორ ყლაპა ხოგამ დო,
ვეცადე და ყველასათვის მოვიყვანე ხო კაი დრო...
კიუსიუ, რიუკიუ, ჰონსიუ და ჰოკაიდო!

კველი კაიზი

ჰავანები, ლიმები და ტეგუსიგალპები...
ტიან-შანი, ალტაი, პამირი და ალპები...
კაპიტალის ქვეყნებში არ ნახვიდე — დალპები!
7 ნოემბერს ავრორამ გაისროლა ზალპები.

კაიზი-20 გესაკრებთა გადანაცვლება-20

მოფრინდებიან ფრენდები.
ფრინდები მოფრენდებიან!

კაიზოგრამა

მკა იფ!
კოკა იფ-იფ!
მარიკა იფ-იფ-იფ!!!
კასაბლანკა იფ-იფ-იფ-იფ!!!!
ბიბლიოთეკა იფ-იფ-იფ-იფ-იფ-იფ!!!!

აკროპატიკა იფ-იფ-იფ-იფ-იფ-იფ!!!!

ამერიკა იფ-იფ-იფ-იფ-იფ!!!!

მუსიკა იფ-იფ-იფ-იფ!!!!

კურკა იფ-იფ!

სკა იფ!

ჭავა იფ!

რუკა იფ-იფ!

მისტრიკა იფ-იფ-იფ-იფ!!!!

გამნაზისტრიკა იფ-იფ-იფ-იფ-იფ!!!!

მათემატიკა იფ-იფ-იფ-იფ-იფ!!!!

ჰკა იფ!

გაბონ იფ!

რიკა იფ!

კარგია იფ!

ვინ რა იცის, რა მიზნით მალორდებ და მაპერებ,
რა წყლითა და რა ჟურით მარწყულებ და მაპურებ,
ვინ რა იცის, სიმართლეს როგორ ჩუმად მაპარებ,
ვინ რა იცის, ხვალ დილით რა სიურპრიზის მიპირებ!

ლაზარე, გამოვედ!
შადიმან, შადი მანდ!

მიახლოება ძლივაშომისილთა მრავალყალი

მაღლითგან რომ გადმომყურებ, ასე მცირეს მხედავ რო?
მძლეველო და ძლეულო და უძლეველო მხედარო!

ზრანსუა 3000ნის SMS-ანდერპი

მე ერთი ვარ — ვიიონი,
თქვენ — მრავალი მილიონი!

* ამ ლექსის თარგმნა უდანაკარგოდ, კონგრინიალურად შეიძლება მრავალ ენაზე.

გესაკრებთა გადანაცვლება-10

ჩაქრა ჩქარა.

სულ სხვა კაიზი

ვარდისფერი იამაპა
იყიდა და იამაპა.

გესაკრებთა გადანაცვლება-16

ნიგნისვის „ნიგნება“

მაგონდება მაკონდო.
მაკონდება მაგონდო.

გესაკრებთა გადანაცვლება-18

პოლიტიკური ლიდერები —
პოლიტიკური დილერები?!?

გესაკრებთა გადანაცვლება
სამი გოგოს შამისას სამკინობლა

* * *

ვერ გავარკვიე, რა ჯობია, მხოლოდ დანახვა
თუ დაბრუნება იმ სიცხადის, გამომეცხადა
მიერიწყებული ანგელოზი, ჩუმაბ რომ იყო,
შენი ცალი ფრთა, შენი თეთრი კაბა ეცვა და
შემომცეროდა. მზე სახლების და შენს გადაღმა
ჩადის, სიტყვების ლაბირინთში თეთრად ჭინდება.
ჩვენ ერთმანეთში ჩავიხედავთ, როცა მომიხმობ,
და ერთმანეთის სიღრმეების შეგვეშინდება.

არაფერია მზეებიდან, მთვარეებიდან,
სივრცეები კი სოფლებიან, ქალაქებიან,
ვდგავარ ღრუბელზე და მიჭირავს ხელში გულები,
რომლებიც შეინი არსებობით მარაგდებიან.
როცა სიბნელე ყოველ ჩამქრალ სახლში შევიდა,
შენ შეძელი და ყველაფერი გამიფერადე,
ვიქნებით ასე: ერთმანეთში შეხიზულები.
მხოლოდ შენიდან. მხოლოდ შენში. მხოლოდ შენამდე

და მეც, სხვებივით, კარს გავუდებ მაშინ ახალ დღეს,
ფეხს აკუნყობ და ყურს მივუგდებ მხოლოდ დროის ხმას,
თუ ძევლი გრძნობა, წარსულიდან გამოშევრილი,
უსეზონოდაც დამწიფებულ ხილს არ მოისხამს.
ვდარდობ, რომ სიტყვებს ფასი აქვთ და ძალა დაკარგეს,
ვდარდობ, რომ ჟანგსაც ვერ მაცლიან, ქვიშის ჭავლივით,
რომ ჩემი გული ვერ გახსენი, როგორც წერილი
დავირუსებულ იმეილზე გამოგზავნილი.

ეს, რა თქმა უნდა, ნაცნობია, მაგრამ ჩემთვისაც
გაუებებარი, ისე, როგორც სხვისტვის ის, რასაც
მე განვიცყდით. შენთან მინდა ქარად მოვიდე,
თავისებური ხიბლიც კი აქვს ასე მისვლასაც.
შენობასავით უშენობა რომ შემოთვისა,
მაშინ მივჩედი, რომ სიყვარული სახის გარეშეც
სიყვარულია. და ვისენებ, ჩემთვის, როდინდელ
ამბავს, როდესაც შემოდგომა მოვითარებეთ.

۵
წყალი წაიღებს წასაღებსაც, მაგრამ მოიტანს
მოსატანს, თუკი ზუსტ ადგილას ზუსტად დახვდები:
ცარცის გოგონა, შენი თავი და ეს ქვეყანა —
კიდით კიდემდე დაქსაქსული მავთულხლართებით
— მან მომიტანა. და დავბრუნდი თითქოს ომიდან,
სადაც ვისროდი შენს ყვავილებს და ჩემს ნაწერებს,
მხოლოდ, დაჭრილი მინა მსურდა გამომეყვანა,
მაგრამ მომიკლეს და კინწისკვრით გამომაძევეს.

და ელოდება ამ ყველაფერს დიდი გამოცდა, დაემუქრება რაც არ არი და რაც აქ არი, რაც მე ვიცი და რაც შენ იცი, და რაც არ ვიცით, და გაცოცხლდება ყველა მითი, ყველა ზღაპარი. მე მაინც აქ ვარ, და რაც მოხდა და რაც არ მოხდა, მას სენებს ყოველ ჩამთავრებულ საათს შენამდე, თითქმის არავინ არ ვიყავი ჩემი თავისთვის, შენ ჩამისახლდი და უეცრად ფასი შემმატე.

ისინი უფრო შემიყვარდნენ, როცა ჩარაზე,
ამ სიბერელიდან რა აზრი აქვს რამე გირჩიო,
შენი თვალები მაგონებენ ისეთ არჩევანს,
კარგს და კარგს შორის როცა უნდა ამოირჩიო.
ღამე თანდათან დაეხსნება ქებებს, გარაუებს
და შენს მანქანას, რომლის ქვეშაც წვანან კატებ
და სარემონტო ავტო-ბოჭესის თხრილში ჩარჩება.
როგორც ყინულის ყალიბებში ბოლო ნატეხი.

ვინორ ჩიხია სიყვარულის, და აქ დადიან
მხოლოდ წყვილები ყვავილებით და მზის ქოლგებით
და ჭექა-უზილგადაწვეულ ცის დუშილივით,
ჩემი ფანჯრიდან ნაფეხურებს ვემშვიდობები.
გაქრნენ მერცხლებიც, თითქოს მთელი წელინადია,
მალე ეს ჩიხიც სიშიშვლეში ჩაიძირება.
ჭერი. თვალები, გადმომდნარი ლურჯი ცვილივით.
და შენი სახის უსასრულო ტირაჟირება.

ბექა ახალაია

აგვისტოს რომანები

როგორ გაგიშვა დაწერილში ანდა დასაწერ
ლექსში?! ისინი ვეღარაფრით შეგინახავენ.

ରୋପା ସାତକ୍ଷେଣି ସାଧନାନ୍ତରଙ୍ଗରେ ମହିନ୍ଦୁର୍ଗୀବା,
ଜ୍ଞାନି ଏଥିଲେଇ ଶୁଣିଗ୍ରାମିତ୍ୟାନ୍ତ ପାଠନ୍ତେବୁ ବିଶ୍ୱରାଜାନ,
ତା ତୁ ଗୁଣନ୍ତରଫେଲାଏ ଅଚର୍ଯ୍ୟମଳଦେଖି ସାଧମ୍ଭୁତ୍ୟା
ମେବନ୍ଦାନ୍ତ ଏବଂ ମେବନ୍ଦାନ୍ତ ଦାଶାନ୍ତିକିଲେଇ ଦାଶାନ୍ତିକିଲେଇ,
ତା ଏକ ମେବନ୍ଦାନ୍ତ ହିନ୍ଦେ ଦେଖିଲେ ଶେରି ପୁରୁଷୀବା,
ମିନଦା ନାର୍ଶୁଲି ସାଧନାନ୍ତରଙ୍ଗ ଗାମନୀକୁର୍ରା,
ଶେନ୍ତଵ୍ୟାକି ଗାହିରିବା ଏହିମାନିନ୍ଦା, ଶେନ୍ତଵ୍ୟାକି ଏକ ଦର୍ଶନାବ୍ୟା,
ରମ୍ଭ ଏକ ହାତବିନ୍ଦି ଏବଂ ଶେମହିନ୍ଦିଲେଇ ଫିଦ୍ଦାନ୍ତ ଗୋପନୀରା.

ისე უცრად გაჩნდი, როგორც მოხეტიალე
ტალღა, რომელსაც არსაიდან არ ელოდები,
არც არაფერი მოასწავებს მის გამოჩენას.
და ველოდები, ისევ როდის განმეორდები.
ფესვებმოთხრილი ჩემით თავის ირგვლივ ვტრიალებ,
გზები დაპრუნდნენ, ის ძველი გზაც არსად არ მიდის,
და ვგრნობ იმ დღესაც, ყველაფერი როცა მორჩება,
მზად ვარ უშენოდ ჩამომდგარი ბოლო ლამისთვის.

უცნაურია, ვინ გაზარდა შენი თოჯინა,
და ვისთან ეთად გაემართა სამოგზაუროდ,
ლურჯი წიგნიდან გამოლენეულ მოკლე ზღაპარში,
ვისთან იცნის, ვისთან ტირის, ვისთან საუბრობს.
მე წარმოვიდგენ შენთან მტირალს, შენთან მოცინარს,
თავბრუდახვეულს მთელი კვირა ხელში ტარებით.
ალბათ, ისევ შენ ენატრები ძაფის თმაგაძლიოლს,
ალბათ, ისევ შენ დაგატარებს შუშის თვალებით.

სამყაროები ინგრევიან და ცაც ინგრევა,
და ნეკებიდან მტკივნეულად გამომაცალეს
სულის მაკეტი, რომ გვინდოვა ერთად შენება,
და ყველაფერი არაფერზე ისე გავცვალე,
თითქოს ვიყავო სასახლე და ახლა ციხე ვარ,
ასწლეულების ქარები რომ დაჯახებია,
და საბოლოოდ დაინგრევა, როცა ცრემლებად
შენი თვალების ანკლავები აჯანყდებია.

ყინულის ხიდზე მარტოდმარტომ გადავიარე
და სულ ვგრძნობდი, რომ შენი ჩრდილი უკან გამომყვა,
გაყინულ ხეებს აეჭვირათ მყიფე ტოტები
გაუყინავი კალაპოტის გალმა-გამოლმა.

და ვისესწენებდით იმ ერთჯერად ადამიანებს
დავინტეგბაში რომ გადიან ხსოვნის ჩეროდან.
ზამთრის სარკეზე უდარდელად მივაპირობებდით
და არ გვინდოდა ერთი ჩეამიც გამოგვრჩენოდა.

* * *

ბ
თითქმის არ ვიცი რა იწყება, უსათაურო
ლექსივით, რისთვის მოვემზადო და რა იქნება
